



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 60

2021 წლის 29 აპრილი

ქ. თბილისი

2021 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს  
ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის  
შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული  
ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის დებულების და  
პროექტის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების,  
კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 დეკემბრის N 235/ნ ბრძანებით დამტკიცებული  
დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა  
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“  
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით  
დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა  
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის  
სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N427046, 29.04.2021წ.) შუამდგომლობისადა,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2021 წლის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების პროგრამის საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2021 წლის 25 აგვისტოს;
3. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულმა პირებმა არაუგვიანეს 2021 წლის 15 ივნისისა ფონდში წარმოადგინონ ანგარიშის ნომერი გაცემული ბანკის მიერ.
4. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშაია

დანართი N1  
დამტკიცებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდის  
გენერალური დირექტორის 2021 წლის ~~29~~ აპრილი  
ს N ~~60~~ ბრძანებით

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და  
საქართველოს ფრანგული ინსტიტუტის ერთობლივი კვლევითი სტაჟირების  
პროგრამის საგრანტო კონკურსი -გამარჯვებული პროექტების სია

N	პროექტის შიფრი	პროექტის სათაური
1	GFI-21-036	ძილის მახასიათებლებსა და ფსიქო-ქცევით კორელატებს შორის ურთიერთქმედება ახალგაზრდებში
2	GFI-21-017	ვაზისა და ღვინის სამართლის ჰარმონიზაცია საქართველოში (საფრანგეთისა და ევროკავშირის შედარებით სამართლებრივი კვლევა)